

12 – 17 წლები ვაჟებისათვის და 11 – 16 წლები ქალებისათვის. /იხ. მეო - რე სასკოლო ასაკი, უინიანობის ხანა, ასაკობრივი განვითარების პე - რიოდიზაცია/.  
პუერილიზმი /ლათ. *puerilis* – ბ-ეობა, ყრმობა/ – ფსიქიატრიაში ცნობიერების დარღვევის ერთ-ერთი სახე, ხშირად დაკავშირებულია ის - რერიულ ფსიქოზთან. უწოდებენ აგრეთვე ფსკურ ინფანტილიზმს. დამახ. გონებრივი ჩამორჩენა, /ახლო დგას ფსევდოდემენციასთან/. ბ-ეური ქუე - ვა, ბ-ეური მეტყველება /ტრანი, ენის მოკიდებით ლაპარაკი/, „დედოფ - ლობანას“ თამაში, ცელჭობა, ხტუნაობა, ემოციური ლაბილობა – უმნიშ - ვნელო მიზეზით აღტაცება ან ტირილი, გარეგნული მხარე – ჩაცმულობა, ვარცხნილობა – ბ-ვის შესაფერისი.

პურკინიეს ფენომენი – ცნობილია, რომ ფერთა ურთიერთშემსრულება სპექტრში ობიექტურ განათებაზეა დამოკიდებული მაგ., დღის სინათლე - ზე ყველაზე ნათელი ფერი ყვითელია, შემდეგ წითელი და მერე ლურჯია მაგრამ, თუ განათებამ იკლო ფერთა აღნიშნული მიმართება შეიცვლება. მაგ., დაბინდებისას, როცა განათება მცირება ყველაზე | ნათელ ფერად მწვა - ნე გვეჩვენება, ლურჯი კი წითელზე ნათელ ფერად გამოიყურება ამ მო - ვლენას ყურადღება პირველად ჩეხმა ფიზიოლოგმა ი. პურკინიემ მიაქცია, და ამიტომ თვით მოვლენას | პურკინიეს ფენომენი ეწოდება.

პურპოზიფიზმი /ინგლ./ – მიმართულება ამერიკულ ბიპევიორიზმი | ში. წარმომადგენელია ე. ტოლმანი, რა - ს თანახმად წინააღმდეგ ბიპევიო - რიზმის თავდაპირველი მიმდინარეობისა ქცევას მიზნისკენ მისწარაფება, მრ - ლწევის შედეგის მოლოდინიც განსაზღვრავს.

## ქ

უესტი /ფრანგ. *geste*, ლათ. *gestus* - სხეულის მოძრაობა/ – სხეულის ნაწილების მოძრაობით ემოციური მდგომარეობის გამოხატვა /იხ. გამო - შხატველი მოძრაობები/.

უესტითი მეტყველება – მეტყველება ხელის მოძრაობით ყრუ-მუნჯე - ზთან ან პრიმიტიულ ადამიანებთან. ვ. ეუნდტის ვარაუდით, პირველად კომუნიკაციის საშუალება უ. მ. იყო / მიმიკა და პანტომიმიკა; მისგან თანდათან განვითარდა ბერითი მეტყველება.

უინიანობის ხანა /გერმ. *Trauzalter*/ – შარლოტა ბიულერის მიერ შემოტანილი ტერი აღნიშნავს: ბ-ვის განვითარებაში პერიოდს, როცა ქცევის დამახ. თავისებურება – ჯიუტობაა. /იხ. ჯიუტობა/. უ. ხ. თავდაპი - რველად თავს იჩენს სამი წლის ასაკში და მას „პირველი უინიანობის ხანა“ უწოდებენ. ბ-ვს უჩნდება გარკვეული სურვილი, მოითხოვს მის და -

კმაყოფილებას, არათერს არ უწევს ანგარიშს, უაჩიობს, ტირის. ეს პერიოდი ხანმოქლეა, გრძელდება 4 წლამდე. ფს-გიაში აღნიშნავენ აგრეთვე „მე-ზრე უინიანობის პერიოდს“, როცა მოზარდი თავის „მე“-ს, თავისი პიროვნების გამოკვეთის მისწარაფებას ამჟღავნებს, ავლენს უარყოფით დამრკიდებულებას სოც. გარემოსთან, ამხელრებულია თავისუფლების შეზღუდვის წინააღმდეგ, უარყოფს ავტორიტეტს და თვითდამკვიდრებისთვის იბრძვის „მეორე უინიანობის პერიოდი“ თავს იჩენს სქესობრივი მომწიფების დაწ-ყებასთან ერთად /11–12 წწ./. განსაკუთრებით მწვავე ხასიათს ატარებს წინაპუბერტატულ პერიოდში /12–14 წწ./, სწვდება აგრეთვე პუბერტატულ პერიოდსაც, ვიდრე სქესობრივი მომწიფების დამთავრებამდე. /14–17 წწ. ვაჟებისათვის, 13–16 წწ. ქალებისათვის/. აღნიშნული პერიოდის საზღვრები ტემპერამენტისა, კლიმატის, ინდივიდუალობისა და სოციალური პირობების მიხედვით შეიძლება შეიცვალოს, ქვევით დაიწიოს ან ზედა საზღვარს გადააცილოს.

მკვლევართა აზრით /შ. ბიულერი, ვ. შტერნი, დ. უზნაძე/, უინიანობის ორივე პერიოდი /პირველი უ. ხ. და მეორე უ. ხ./ დაკავშირებულია საკუთარი პიროვნების ფორმირებასთან, „მე“-ს ცნობიერების გაძლიერებულ აქტიურობასთან. სამი წლის ასაკში, ახლად ფეხადგმულ და თავისუფალ მოძრაობას დაუფლებულ ბუებში პირველად იღვიძებს „მე“-ს ცნობიერება და მასთან ერთად თავს იჩენს საკუთარი მოთხოვნილებები და მოთხოვნები, ხოლო მომწიფების ხანა ხასიათდება – „მე“-ს, საკუთარი პიროვნების, საკუთარი სახის ძიებით და დადგენით, გარემოსგან „მე“-ს გამოყოფით, ღირებულებათა ახლად შეფასებით და მათში საკუთარი აღგილის გამონახვით, „მე“-ს ცნობიერების ეს გაძლიერებული აქტიურობა უდევს საფუძვლად „მე“-ს წინააღმდეგობას იმასთან, ვინც ან რაც უპირა და ზღუდვას მას /იხ. ნებულობა/.

## რ

რანშბურგის აპარატი-მეხსიერების კვლევის აპარატი, შეიმუშავა ფსიქოლოგმა პ. რანშბურგმა. აპარატი წარმოადგენს ეკრანს პატარა ფაჯრით, რ-შიც რიგრიგობით ჩნდება სიტყვები, მარცვლები, ციფრები, რ-იც კომა უნდა წაიკითხოს, დაიმახსოვროს და მერე აღადგინოს. აპარატი მასალის რეგულირების საშუალებას იძლევა.

რანშბურგის ფენომენი – მეხსიერების მოვლენა, აღმოჩინა პ. რანშბურგმა. მდგომარეობს შემდეგში: სუბიექტი უკვთ იმახსოვრებს ისეთ ჰეტეროგენურ რიგს, რ-იც მხოლოდ განსხვავებულ ელემენტებს შეიცავს /ასოებს, ციფრებს, სიტყვებს, ფერებს და სხვა/, ვიდრე ისეთს, რ-შიც ერთი და იგივე ელემენტი სხვადასხვა აღგილას მეორდება /ჰომოგენური 250